გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	7 75	4 . .	4 75
9 .	8 —	3 .	3 50
8 .	7 25	2 .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და ყოველგვარ განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ღგრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1-ლის ოქტომბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 50 კ.

ტფილისი, 13 ოქტომბერი

გერმანიაში ერთი მშვიდობიანი, ჩუმი, სხვასავით არა-ჩხავანა საზოგადოება არის, რომელსაც ჰქვიან: „Yérein für social-politik“, ესე იგი, კავშირი სასოციალო პოლიტიკისა. ამ „კავშირის“ წევრად ითვლება არა ერთი და ორი გამოჩენილი პოლიტიკოს-ეკონომი გერმანიისა. ყოველ წლივ წევრნი ამა საზოგადოებისანი თავს მოიყრიან წინადვე დანიშნულ ადგილას, გამართვენ ხოლმე კრებას და ამ კრებაზედ განიხილავენ ხოლმე საპოლიტიკო-ეკონომიის საქმესა და საგნებსა. ამ უკანასკნელს წლებში იგი საზოგადოება მარტო ერთს საგანს უფრო დაჰკვირვებია, მარტო ერთი საგანი უძიებია, ერთის საგნისათვის მიუქცევია მთელი თავისი ცოდნისა და მეცნიერების ძალ-ღონე. იგი საგანი, ეგრედ წოდებული საგრარო საგანია, ესე იგი, სამიწათ-ფლობელო საქმე, რომელიც ყოველ განათლებულს ქვეყანაში დღეს წინ წამოდგა გადასაწყვეტად, ყველასი ყურადღება მიიზიდა და დაჟინებულად ჰთხოულობს ასე თუ ისე დაბოლოვებას. უკეთესნი და უფრო სახელ-განთქმულნი წარმომადგენელნი „ვერეინისა“ გულ-წრფელად მოჰკიდებიან ამ მძიმე საქმეს და იმავე გულ-წრფელობით ჰსურთ გაუადვილონ მთავრობას რთული საქმე სამიწათ-ფლობელო პოლიტიკისა, რომელიც მიმართულია მასზედ, რომ რაც შეიძლება მომეტებულს ნაწილს ქვეყნის მკვიდრსა მიეცეს საკმაო მამული თავი ირჩინოს და სახელმწიფო მოვალეობას გაუძნელებლად გაუძლვეს. აქედამ ცხადადა სჩანს, რომ ხსენებულს საზოგადოებას საგნად უნდა წინ ედვას მრავალ-მხრივად გამოიძიოს წვრილ-წვრილის და საშუალო ზომის მიწათ-ფლობელობის ვითარება და ავ-კარგიანობა. სწორედ ესეც არის. იგი საზოგადოება სწორედ ამის გამოძიებას შესდგომია და თვისის მეცადინეობის საგნად სწორედ ეს საქმე აუღია.

დღეს, როცა ჩვენში სწორედ ამისი მსგავსი საქმეა აღძრული ხიზნების დაბინავების გამო, გვგონია, მეტი არ იქნება ვაუწყოთ ჩვენს საზოგადოებას—რა გამოიძიეს და რა გზას დაადგნენ ამ რთულს და მეტად საგულისხმო საქმეში გერმანიის პოლიტიკოს-ეკონომები და მეცნიერნი.

წელს 12-ს და 13-ს ენკენისთთვეს ფრანკფურტში მოუხდენიათ კრება ხსენებულ საზოგადოების წევრთა და საგნად ჰქონიათ „წვრილ-წვრილი და საშუალო ზომის მიწათ-ფლობელობა“, აგრეთვე ისა თუ, „როგორ უნდა მოეწყოს სადგურები მუშებისათვის ქალაქებში“. ჩვენ დღეს მარტო პირველ საგანს გამოვეკიდებით და რა აზრი დაასკვნა კრებამ ამ საგანზედ, იმას წარმოვუდგენთ მკითხველს.

მოხსენება ამ პირველ საგანზედ წარუდგენია მიწათ-მფლობელს ზომბერტს და სჯასა და ბაასში მონაწილეობა მიუღიათ პროფესორებს შმოლლერს, ნასსეს, კონრადს და სხვებსაც. ზომბერტის აზრით, გერმანია,—რომელსაც საფაბრიკო და საქარხანო მრეწველობა ისე გაძლიერებული აქვს, რომ ძლივს-და ჰშოულობს ამაების ნაწარმოებთათვის მუშტარსა და ბაზარსა,—ამავე დროს მოკლებულია მას, რაც პირველ საჭიროებას ადამიანისას შეადგენს, სახელდობრ, მას, რასაც სოფლის მრეწველობა და მეურნეობა უნდა იძლეოდესო. ესეთი ჭარბობა საფაბრიკო საქონლისა და ნაკლებობა მისი, რასაც სოფელი და მიწათ მოქმედება უნდა იძლეოდეს, ძალად შექმნილ მიზეზთაგან წარმოსდგებაო და განსაკუთრებით იმისაგან, რომ ქალაქებში თავს იყრის ბლომად ხალხი და სოფლები კი ცარიელდებაო, რადგანაც წვრილ-წვრილი მამულები თითო-ოროლა კაცის ხელში გროვდება და დიდ-მამულიანობა ვრცელდებაო. ეს რომ ასე არ იყოს, გერმანია, ზომბერტის აზრით, ძალიან ადვილად გამოჰკვებავს თავის ხალხსა საკუთარის თვისის ნაწარმოებითა, თუ ხალხს ხელთ ექნება მამული და უკეთესი მოვლა მიწისა და უკეთესი წესი მიწათ-მოქმედებისა ხალხში ფეხს გაიდგამსო. გერმანიის ხსნა მარტო იმით იქმნება, რომ წვრილ-წვრილი და საშუალო ზომის მიწათ ფლობელობა გაძლიერდეს და დიდ-მამულიანობა დანაწილდესო. რა გზით უნდა მოხდეს ეს გახშირება? ამაზედ ზომბერტი აი რა პასუხს იძლევა: მთავრობამ უნდა შეისყიდოს, საცა-კი დიდი მამული ან ნებით, ან ვალებში გაიყიდება, წვრილ-წვრილად დაჰყოს და დაურიგოს წვრილთა მიწათ-მოქმედთა იჯარითაო.

ამ სახითაო, ამბობს კორრესპონდენტი გაზეთისა, რომლისაგანაც მოგვყავს ეს ცნობანი, ზომბერტის აზრი მიუდგა შმოლლერის მიერ წინად გამოთქმულს აზრსაო. შმოლლერი და სხვა წევრნიც „ვერეინისა“ იმაზედ აფუძნებდნენ თავის დასკვნასა ამ საგანზედ, რომ სახელმწიფოს არამც თუ ხელი მიუძღვის, არამედ ვალადაც აძევს დროთა შესაფერად მიჰმართოს მდინარეობა ეკონომიურის ცხოვრებისაო. მანჩესტერლები*) ჰქადაგობენ, რომ სრული თავისუფლება მიეცეს თავნსა და შრომას ერთმანეთთან ბრძოლაში და სახელმწიფოს ხელი არ უნდა მიუწვდოდეს ამ ბრძოლაში გაერიოსო. მიწის შესახებ ეგრეთმა პოლიტიკამ არ-გარევისამ იქამდე მიიყვანა საქმე, რომ მიწა საბაზროდ გახდა, როგორც სხვა ხელით სატარებელი სავაჭრო საქონელი, როგორც მოძრავი რამ ქონებაო. შმოლლერი არ უარ-ჰყოფს იმას, რომ თავისუფალს აღებ-მიცემობას მიწისას ბევრი კარგი რამ მოსდევს, მაგრამ ეს კარგი წვეთია ზღვაში იმისდა მიხედვით, რა უბედურებასაც წარმოადგენს აოხრება მამულისა და ვალით დატვირთვა. ერთიც და მეორეც ხომ შედეგია მიწის თავისუფალ აღებ-მიცემობისაო, ამბობს შმოლლერი. არა ნაკლების სიცხარითა და სიმკაცრით ეკიდება შმოლლერი იმ აზრსაც, ვითომც ყველას უებარი წამალი ის იყოს, რომ სახელმწიფომ დაიჭიროს თვისდა საკუთრებად მთელი მიწები და სამართლიანად გაუნაწილოს ყველა ჭეშმარიტს მიწის-მომქმედსა. რასაკვირველია, ამბობს იგი, ამ აზრს თავისი ღირსებაცა აქვს, მაგრამ ძნელად მოსათავსებელია ეხლანდელ კულტურასთან, რადგანაც ამ აზრის ბოლო ის არის, რომ ყველა მიწათ-მომქმედი იჯარადრად გაუხადოს სახელმწიფოსაო. ამ სახით თუ არც მანჩესტერლების აზრი, არც სახელმწიფოდ მიწების დაჭერა (ექსპროპრიაცია) საკმაონი არ არიან საგრარო საქმის გადასაწყვეტად, ერთი გზაღაა, შმოლლერის აზრით, რომ მაგ საქმეს სასურველი ბოლო მოეცეს.

„სახელმწიფომ, სთქვა დასასრულ

ფელეტონი

ცოდვა სიყვარულისა

პოლ ბურჟეს რომანი

(შემდეგი*)

VIII

«შურის ძიებისა უნდა მეშინოდესო!» განა ლინკოლნის ქუჩიდამ დაბრუნებულს საცოდავს ელენეს შეეძლო-ლა ფიქრი შურის-ძიებაზედ!? მარტოდ-მარტო ერთმა მეტის-მეტმა შავმა და ბნელმა გრძნობამ-ლა შეიპყრო ელენე. ეს გრძნობა იყო გრძნობა აუტანელის სულის-სიმწვავისა და განწირულებისა. ისე ძლიერი იყო სულის-კვეთება, რომელიც ასე უცებ და მოულოდნელად თავს დააწყდა ელენესა, რომ სასო-წარკვეთილებამ-ლა დაისადგურა მის გულში და სხვა ყოველი გრძნობა ამოაფრთხო. ერთმა თავიდამ მოუშორებელმა ფიქრმა-ლა აიყოლია გონება ელენესი: იმ დღესაცა და იმ ღამესაც, როცა თავის სახლში იყო, გააქრო სანთელი და თვალს კი ძილი არ მიეკარა, მეორე-მესამე დღესა და ღამესაც და მერეც კიდევ მთელის ორის კვირის განმავლობაში ამასა ჰფიქრობდა: ჩემს საყვარელს მე არასოდეს არა ვყვარებივარო. არასოდეს—არც ერთის წამითაცაო. დიაღ, არც ერთის წამითაცაო, იმიტომ-რომ პირველადვე, როცა მე იმისი გავხდი და როცა უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო ეს სიყვარული, იმას ეგონა, რომ ვარადისა და კიდევ სხვების საყვარლად ნამყოფი ქალი მყავსო. ეხლა კარგად ესმოდა, რასაც ნიშნავდა ხოლმე არმანის ღიმილიცა, მისი მდუმარებაცა, გულ-ციეობაცა და მიუნდობლობაცა. გული ელენესი აღშფოთდებოდა ხოლმე საშინელის უსამართლობისაგან, როცა დაფიქრდებოდა და ერთმანერთს შეუწონებდა ხოლმე იმასაც, რაც გასწირა არმანის სიყვარულისათვის და იმასაც, რაც სამაგიეროდ მიიღო თავის საყვარლისაგან. ვერას გზით ვერ შეითვისა და ვერ მოინელა ელენეს გონებამ ამ გვარი უსამართლობა. იმ საშინელის ლაპარაკის შემდეგ, რომელიც ელენეს მოუვიდა არმანთან, ალფრედმა მიიღო ბარათი და არმანი სწერდა, რომ საქმეების გამო იძულებული ვარ მცირეს ხანს პარიჟს თავი დავანებოვო. ელენე ჰხედავდა, რომ არმანი სამუდამოდ განშორდა. ეს ამბავი, რასაკვირველია, ძლიერ აწუხებდა, მაგრამ ამ მწუხარების გასაქარვებლად ღონეცა ჰქონდა. ეს ღონე ის იყო, რომ სათაკილო და უკადრისს კაცად დაჰსახა არმანი, რომელმაც ისეთი გულ-ქვაობა და ყოვლად უგულო თავ-მოყვარეობა გამოიჩინა უკანასკნელის ლაპარაკის დროს. მაგრამ როგორ აეტანა მის გულს ამ კაცის უსამართლობა? უცებ რომ მოჰშორებოდა, უკადრისად მოჰქცეოდა და ისე დაენებებინა თავი, ხოლო ეს-კი ეთქვა, რომ მართალია, შენ ძრიელა და გულ-წრფელად გიყვარდიო, ასე მეტის-მეტად აღარ დაიწვოდა და აღარ დაიტანჯებოდა. ეხლა-კი ელენე ჰგავდა იმ მსჯავრდადებულს, რომელსაც სიკვდილით დასჯა მოელის, თვით სიკვდილისა-კი არ ეშინიან და მომეტებულად ის უწყლავს გულსა, რომ არ შეუძლიან სიკვდილის წინად ხმა-მაღლა წარმოსთქვას: უბრალო ვარო! ღმერთო, რა საწყენის და სათაკილო მედიდურობით მაგრძნობინა, რომ მე შენ გამო ვუღალატე პატიოსანის კაცის მოვალეობასაო! ნუ თუ ეს იყო, მიზეზი ეს პატიოსნება, რომლისათვისაც ასე გამწირა მეო, ჰფიქრობდა საცოდავად გამწარებული ელენე.

რომ ვყვარებოდი... განა ისიც იმ გვარადვე არ გასწირავდა ამ პატიოსნებას, როგორც მე დავსთმე ჩემი პატიოსნებაო? მაგრამ ან კი რად ვეყვარებოდი, როცა დასაწყისიდგანვე მოღალატეთა და მატყუარად თურმე მივაჩნდი.

«იქნება თქვენა გგონიათ, რომ მე თქვენი ცხოვრება არ ვიციო? ჩვენ გამოცდილები ვიყავითო.» ღმერთო, ღმერთო, რა უსამართლობაა, რა ღვთის-რისხვა უსამართლობაა! ელენეს გული კვნესოდა ამ დროს და იკუწებოდა ნაჭერ-ნაჭერ. გული ასდიოდა და დასდიოდა შეშფოთებისაგან. სცემდა ბოლთას ოთახში და მოსვენება არა ჰქონდა არც იმის ანთებულს გონებასა და არც ცეცხლ-მოკიდებულს გულსა.

მომეტებულად აუტანელი კიდევ ის იყო ელენესათვის ამ საშინელს ყოფაში, რომ ქმარმა მოაბეზრა თავი ალერსითა და გადაჭარბებულის მზრუნველობითა. ალფრედი ყოველის ღონით სცდილობდა რითიმე ესიამოვნებინა ელენესათვის და ის-კი ფიქრადაც არ მოსდიოდა, რა ჯოჯოხეთი ტრიალებდა ელენეს გულში. ამიტომ ალფრედი ათასში ერთხელ ეტყოდა ხოლმე ელენეს: „მოვიქამიარებ თუ არა პატარას ჩემს საქმეებსა, ავდგეთ, წავიდეთ და ქვეყნები მოვიაროთო. იქნება არმანიც წამოგვყვესო“... ან კიდევ: „მიკვირს, რომ არმანი არაფერს არ იწერება. შენთვის ხომ არა მოუწერია-რაო.“

— არაფერიო,—უპასუხებდა ხოლმე ელენე.

ალფრედი ახლა თავის თავს ემდუროდა და ესაყვედურებოდა. რა მრჯოდა, რაზედ დავუწყე მაშინ ის ლაპარაკი ჩემს მეგობარსაო. დარწმუნებული ვარ, ის კაცი იმიტომ წავიდა პარიჟიდამ, რომ იჭვიანობას აღარ ავეყოლიეო. რაკი ელენესაც მეტად დაღონებულსა ჰხედავდა და ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო მიზეზსა, ამას ეუბნებოდა თავის-თავსა: რაზე მოვაშორე ამ ქალს არმანიო. პატიოსნად ერთობოდა, გულს აყოლებდა იმასთანაო. ორიოდ-სამიოდე გასართობი და სასიამოვნო საგანი ჰქონდა და ერთი მათგანი ჩემის მიზეზით მოესპოო. ელენეს-კი, პირ-იქით, მეტად აწუხებდა ის გარემოება, ქმარი რომ ასე გულ-უბრყვილოდ დანდობილია ჩემზედაო. თავ-მოყვარეობა ელენესი შეირყა და შეიბღალა, რაკი ქმარი ასე ენდობოდა და საყვარელი კაცი-კი ისეთი ეჭვის ამღები და მიუნდობელი აღმოჩნდა. მაგას გარდა კიდევ, ქვეყნების ნახვა, რომელსაც ეუბნებოდა ალფრედი, განა თვით ელენეს საყვარელი და სასურველი ნატვრა არ იყო წინად? მისი გონება ცხადად

---

*) ერთ გვარი მოძღვრებაა საპოლიტიკო ეკონომიაში და ამ მოძღვრების მიმყოლთა მანჩესტერლებს ეძახიან.

*) იხ. „ივერია“ № 217.

შმოლერმა: უნდა კისრად იდვას მძიმე და მეტის მეტად საპასუხის-გებო საქმე დიდის-მამულების შესყიდვისა, რომ ამ მამულებისაგან შეჰქმნას წვრილ-წვრილი და საშუალო ზომის მამულები, დაურიგოს იგინი მიწათ-მომქმედებს გადაჭრილის ვადით, ასე კი რომ ეს ვადა ან ერთს, ან რამდენსამე თაობას გასწვდეს და ამ სახით გაახშიროს იმისთანა მიწათ-ფლობელობა, რომელიც შუათანა რამ იქნება საკუთრებისა და იჯარის შორის.“

ზემოხსენებული აზრი და მოსაზრება შმოლლერისა და ზომბერტისა ერთ-ხმობით მიიღო ყველა წევრმა „ვერეინისამ“ და კამათობა მარტო იმაზედ-ღა იყო თუ,—რა გზით და რა ღონის-ძიებით შესრულდეს მათ მიერ წარმოდგენილი გეგმა მიწათ-ფლობის საქმის შესახებ.

ვინც შმოლლერის უკანასკნელს სიტყვას დაუკვირდება, ვინც ამ მეცნიერთა კრების ერთ-ხმობით დადგენილს განაჩენს გულის-ყურით ჩხრეკას დაუწყებს და ვინც ამასთანავე გონების თვალ-წინ დაიყენებს ყოველს იმას, რაც ჩვენებურ ხიზნობაზედ იყო ჩვენ მიერ თქმული,—იგი თვალ ნათლად დაინახავს, რომ იმისთანა მიწათ-ფლობელობა, რომელიც ხსენებულს მეცნიერთა კრებას საჭიროდ დაუნახავს გასავრცელებლად, და რომელიც შუათანა რამ არის საკუთრებისა და იჯარის შორის— ჩვენებური ხიზნობაა და სხვა არარა. დიაღ, ხიზნობა იმისთანა მიწათ-ფლობელობა, რომელიც არც საკუთრებაა, არც იჯარა და ერთისა და მეორის შუა კი დგას, როგორც განსაკუთრებული, ერთ-გვარი, თავისებური სახე მიწათ-ფლობელობისა, რომელსაც დღეს, მეცნიერთა კრება წამლადა სდებს დიდი ხნის სატკივარს სააგრარო საქმისას. სჩანს ეს გვარი მიწათ-ფლობელობა ისე ადვილად აბუჩად ასაგდები არა ყოფილა, როგორც ჰგონიათ ბევრს ჩვენგანსა.>

ახალი ამბავი

⁂ ამბობენ, რომ კავკასიის მთავარ-მმართებელი თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი დღეს, 14 ოქტომბერს უნდა წაბრძანდეს კახეთში და დაათვალიეროს სასახლის-უწყების-მიერ ნასყიდი მამული წინანდალში და ის შენობანი და მოწყობილობანი, რომელიც ამ უწყებამ გამართა იქაო.

⁂ დუშეთიდამ სწერენ გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ეს, რომ 11 ოქტომბერს აქ გაცარცვეს ახლად აშენებული და შარშან ნაკურთხი დიდი ეკკლესიაო. ამ ეკკლესიის აშენებისათვის ყველა შევაწუხეთ, ყველას შესაწირავი გამოვართვით, ხელმწიფე იმპერატრიცაც კი შევაწუხეთ და აი როცა დავასრულეთ საქმე. ავაშენეთ და შევამკეთ ეკკლესია, ავაზაკების ბოროტმა ხელმა არ დაინდო ეს წმინდა ადგილი და გაიტანა ეკკლესიიდამ ყოველივე ძვირფასი ნივთი და სამკაული. ავაზაკებმავე წაიღეს ერთი ძვირფასი ხატი მღვთის-მშობლისა, რომელიც ამ საუკუნის დასაწყისს იყო მოტანილი მოსკოვიდამ ეპისკოპოსის ფიცხელაურისაგანაო; ეს ხატი შემკობილი იყო ძვირფასის თვალ-მარგალიტითაო. კაცს უკვირს, როგორ გაიქურდა ეს ეკკლესია, რომელიც შიგ შუა-გულ ქალაქშია აშენებული, იქვე სამაზრო მმართველობისა და ხაზინის ახლოს, საცა ჩაფრები და ურიადნიკების სადგურებიაო.

⁂ ჩვენ გვქონდა მოხსენებული, რომ ბათუმის ოლქის მცხოვრებელ ქართველ-მაჰმადიანთ-შორის ცრუ ხმებია გავრცელებული სამხედრო ბეგარის თაობაზედ და ამიტომ ხალხს კვლავ განუზრახავს ოსმალეთში გადასახლებაო. ამ მცხოვრებელთ აუხსნეს, რომ ბათუმის ოლქიდამ საზოგადოდ ჯარის-კაცებს არ გაიყვანენ, რომ ისინი მხოლოდ ფულად გადაიხდიან ამ ბეგარასაო. ამას გარდა ისიც შეატყობინეს, რომ გადასახლების ვადა ოსმალეთში უკვე გასულიაო. ახლა გაზეთი „ყარსი“ ამბობს კიდევ, რომ ყარსის გუბერნიაში, ოლთისისა და არტაანისაკენაც ხალხს რიგიანად ვერ გაუგია ახალი კანონი სამხედრო ბეგარის თაობაზედ და ამიტომ ბ-ნი ყარსის სამხედრო გუბერნატორი წავიდა იქ, რათა აუხსნას ხალხს ნამდვილი გარემოება საქმისა და აღუკრძალოს გადასახლება ოსმალეთშიო.

⁂ იგივე გაზეთი ამბობს, რომ ფოცხოვის ხეობაზე დღევანდლამდე ცუდი ამინდებია და ძალიან უშლის ხელს ჭირნახულის ლეწვასაო. ჯერ ნახევარიც არა აქვთ მცხოვრებელთ გალეწილიო. 20 სექტემბერსვე კი აქ მთებზე თოვლი ჩამოჰყარაო, ხოლო 27—დათოვლა მთელი ხეობაო. თუთუნი, სიმინდი და ზოგიერთი ხილი სრულიად გააქრო სიცივეებმაო.

⁂ შუშიდამ სწერენ სომხურს გაზეთს «ნორ-დარს», რომ აქაურმა ვენახის პატრონებმა გვარად ხუბლარიანებმა მოიწვიეს ღვინის დაყენების კარგი მცოდნე კაციო და ამიტომ იმედი აქვთ, რომ წელს შუშაში კარგი ღვინოები იქნებაო. ხუბლარიანები ჰფიქრობენ, რომ ახალის წესით დაყენებული ღვინოები გაჰგზავნონ გასასყიდად რუსეთში და სამზღვარ გარედაო. ყურადღების ღირსია ეს გარემოება მით უფრო, რომ ჩვენში თითქმის არავინ არა ჰფიქრობს ღვინის დაყენებისათვის მიჰმართონ ხოლმე ისეთს კაცს, რომელსაც შესწავლილი აქვს ეს საქმე სამზღვარ-გარედ საუკეთესო სამეურნეო სკოლებში.

⁂ «Санк.-Пет. Вѣд.»-ი ამბობს, რომ ახალი წესი პასპორტების თაობაზედ საქართველოსა და საზოგადოდ ამიერ კავკასიაში ჯერ-ჯერობით არ იქნება შემოღებულიო.

⁂ გაზ. «Рус. Кур.»-ს შეუტყვია, რომ მთავარ-მმართებელი კავკასიისა თ. დონდუკოვ კორსაკოვი სთხოვს შინაგან-საქმეთა სამინისტროს, რომ ამიერ-კავკასიაში უფრო მეტი რიცხვი დაინიშნოს ექიმებისაო.

⁂ წარსულ სექტემბერს წმ. ნინოს სასწავლებელში მიუღიათ სახელმწიფო ხარჯზედ სულ რვა ქალი. ექვსი ამათ შორის რუსია და ორი ქართველი: ოლგა ჯორჯაძისა და დარია მგალობლიშვილისა.

⁂ გაზ. «კავკაზსა» სწერენ ქუთაისიდამ, რომ აქაურს სასამართლოში 30 სექტემბერს გაარჩიეს ფრიად საინტერესო საქმე ყალბის ფულის გამსაღებელთა გურიაშიო. ამ საქმის მოთავენი ასე აღმოუჩენიათ: 1883 წელს ორი გურული იასე ჯინჭარაძე და გერასიმე ლოლუა წასულან ვარშავას, მერე იქიდამ სამზღვარ გარედ გასულან პრუსიაში და ქ. კატოვიჩს ფოსტით მიუღიათ პაკეტი ყალბის ფულებით ლონდონიდამ. როცა უკითხავთ, ეს რა ფულებიაო, გურულებს უთქვამთ, რომ პაკეტი მივიღეთ ჩვენ ფოსტიდამ ალექსი მამულაშვილის მონდობილობითაო. ამ სახით აღმოჩენილა, რომ გურიაში მთელი დასი თურმე მოქმედობდა და ავრცელებდა ქაღალდის ყალბს ფულსა. ამ დასს თავისი კაცები ჰყოლია ვარშავაშიაც (გურული ბარნაბა შავარდნაძე), ყირიმშიაც (გურულივე სილოვან კალანდაძე). კაცები ჰყოლიათ აგრეთვე ტფილისში და სხვა ქალაქებშიაც და ეს კაცები ავრცელებდნენ ამ დასის ყალბს ფულსა. ქუთაისის ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნა ბრალდებულნი ალექსი მამულაშვილი, ასალო მამულაშვილი, ასლან საბაშვილი, ბარნაბა შავარდნაძე და სოლომან კალანდაძე ყალბის ქაღალდის ფულის გასაღებისათვის და განუჩინა კატორღა რვა წლითა. სამზღვარ გარედ დაჭერილნი ჯინჭარაძე და ლოლუა-კი 1883 წელსვე გაასამართლა და გაუჩინა სასჯელი პრუსიის სასამართლომაო.

⁂ ქუთაისის ოლქის სასამართლოსვე, 10 ოქტომბერს, გაურჩევია საქმე თ. მელქისედეკ ნაკაშიძისა. სასამართლოს შეუწყნარებია მისი საჩივარი და თ. მელქისედეკ ნაკაშიძე გარდაცვალებულ თ. გიორგი ნაკაშიძის კანონიერ შვილად უცვნიათ (გაზ. «ნოვ. ობოზ.“).

⁂ გაზ «С. Пет. Вѣд.“-ტის შეუტყვია, რომ უმაღლესს სამხედრო უწყებას განსახილველად აქვს ამ ჟამად ერთი პროექტი, რომლის შინაარსი ის არის, რომ შავის ზღვის ნაპირებზე კავკასიის მხრით დასახლებულ იქმნან ყაზახებიო.

⁂ 12 ოქტომბერს, ღამის 12 საათზე, რიყეზე გაჩნდა ცეცხლი ივანიშჩევის, და სანდრო თუშიშვილის სახლის სარდაფში. ცეცხლი შინაურულად გააქრეს. სახლი დაზღვეულია მოსკოვის კომერციულს საზოგადოებაში 8,000 მანათად. ცეცხლის გაჩენის მიზეზის შესატყობლად გამოძიებაა დანიშნული.

⁂ 12 ოქტომბერს, მე-9 ნაწილში იპოვეს ქუჩაში მკვდარი კაცი ტფილისის მოქალაქე ვასილ მუკაშევი, 35 წლისა. მუკაშევს ბნედა მოსვლია და მომკვდარა ქუჩაში. ათი წლიწადი მეტია რაც ბნედა სჭირდა მიცვალებულსაო. გვამი მისი გარდაეცა ნათესავებს დასამარხავად.

დამაკვირდი!

მარტო შესაძლებელი ისურვეთ და თავის დღეში არ დაიწყევლით თავს, რომ უღონო ვარო.
(ბუსტი)

**

წარმოიდგენდა ხოლმე იმას, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო და რაზედაც განუშორებლად ჰფიქრობდა, როცა არმანი თავისი ეგონა. ჩვენ წავიდოდით ორნი და ვიცხოვრებდით მარტოდ-მარტო ნორმანდიის რომელსამე სოფელშიო, საცა ამწვანებული ედმლო და მშვენივრად გათლილი ხეები მწკრივად ჩარიგებულნი არიან ზღვის ნაპირებამდეო. იქნება გვენახა იტალიის ზოგიერთი ქალაქებიცაო, რომელთა მარტო სახელიც-კი თითქო სითბოსა და ბედნიერებას უქადიან ადამიანსაო. ეხლა-კი აღარაფერი აღარა დამრჩენია-რა მარტოობის მეტიო... ერთად-ერთი სტრიქონიც-კი აღარ მაღირსა მას შემდეგ, რაც თავი დამანებაო... ერთად-ერთი სიტყვაც-კი ნანვისა დაიშურა ჩემთვისაო. ან კი რად უნდა შევენანე? არმანი უთუოდ იმასა ჰფიქრობს, რომ მე უკვე დავმშვიდდი, ნუგეში ვეცი ჩემს თავს. ვინ იცის, იქნება იმასაც ჰფიქრობს, რომ ეხლა სხვას ვეხვევი და სხვას შევსტრფი. ან კი რატომ არა? აკი ეგონა, რომ წინად, ვიდრე მე იმას შევხვდებოდი, ვარადთანა მქონდა საქმე? ორი საყვარელი მყავს, თუ სამი და ან კიდევ ათი, განა სულ ერთი არ არის, რაკი ერთხელვე ერთს არ დავჯერებივარო?

რამდენი დღეც გადიოდა, იმდენი უფრო ძრიელ იწვოდა ელენე იმ უსამართლობისაგან, რომლის მსხვერპლიც შეიქმნა. ეს მწვავე და აუტანელი წამება იყო მიზეზი, რომ ელენეს უგუნური და ყოვლად საზარელი აზრი მოსდიოდა ხოლმე ფიქრად. მაგრამ ეს ერთად ერთივე აზრი მოაბრუნებდა ხოლმე ელენეს, როცა საშინელი და განწირული სულის კვეთება მოუვიდოდა, ეს ერთად-ერთი აზრი გაანელებდა ხოლმე ცოტაოდნად იმის გაშმაგებულს გულსა და გონებას. დიაღ, როცა სწორედ ამ გვარს გამწარებულს ყოფაში იყო, მაშინ გაივლებდა ხოლმე გულში მეტად ცოდვილს განზრახვას: ჩავიდენ ყველა იმ საძაგელს საქმეს, რის ჩამდენადაც დამსახესო, დავემზგავსები იმას, როგორიც მივაჩნდი მე იმასაო— გადავიქცევი ზნე დაცემულ და ნამუსახდილ ქალადაო. ის ხომ მაინც ასე ჰფიქრობდა ჩემზედ, რომ სწორედ ასეთია ის ქალი, რომელიც მე მომენდო და მე შემემკვლიაო. სულის ცხოვრებაშიაც, ისე როგორც ხორცისაში, ხშირად არის ხოლმე, რომ ადამიანი გაშმაგებით ეტანება, მიიზიდება თავი მოიკლას, თავი დაიღუპოს, გაინადგუროს; არის ხოლმე დრო, როცა კაცი ისეთს გუნებაზე დადგება, რომ უსათუოდ, რაც უნდა იყოს, გვინდა სრულიად ხელი ავიღოთ ჩვენს კაცობაზე, გვინდა ვგვემოთ და მოვაკვდინოთ იგი კაცობა, გვინდა გადავიქცეთ სრულიად სხვა სულიერათა და სხვა არსებათა. უფრო ხშირად-კი უსამართლობის მიზეზით მოხდება ხოლმე ასე. უსამართლობაა ხოლმე მიზეზი, რომ ადამიანი ანაზდეულად შეიცვლება ხოლმე, მისი ბუნება ერთბაშად გადმოტრიალდება ხოლმე. თვით ბაშვებსაც-კი მოსდით ესა,—მოსდით აგრეთვე პირუტყვებსაც. უსამართლოდ ცემა განა კარგსაც არ ახდენს და არ გააფუჭებს ხოლმე? რამდენადაც მეტად ჰგრძნობდა ელენე თავის-თავს უსამართლოდ შეურაცხყოფილსა, იმოდენად უფრო უნდოდა სრულიად სხვა ადამიანად გადაქცეულიყო და აღარაფრით აღარა ჰგვანებოდა წინანდელს ელენესა. რაღაც ნაირი წყურვილი აუჩნდა სამარცხვინო საქმისა და გულით და სულით უნდოდა თავლაფ დასხმული შექმნილიყო. „ვისაც გული აქვსო,—ამბობდა თავის თავად ელენე,—ის უნდა მოელოდეს, რომ მასხარად აგდებული შეიქმნებაო“... და აი ამიტომ მიჰყვა ელენე და გადასხვაფერება დაუწყო ძალადობით თავის ხასიათსა და ბუნებასა, სწორედ ისე, როგორც ამ გვარსავე მდგომარეობაში ზოგიერთნი მამა-კაცნი დაიწყობენ ხოლმე ლოთობასა, სმენ ზიზღით ჭიქას ჭიქაზედ, თითქო ვალდებულნი არიან უთუოდ დალიონო. როცა თავისთვის, თავის ნებაზედ იყო ხოლმე სახლში, უცებ მოუვლიდა უცნაური მხიარულება. აქამდე ჭირივით ეჯავრებოდა უმართებულო ლაპარაკი უმართებულო საგნებზედა და ახლა კი განზრახ, განგებ ადვილად მიიჩნია ამ გვარი ლაპარაკი სხვა-და-სხვა გვარს არშიყობასა და ტრფიალებაზედ; იმის ოთახში ახლა ისეთი წიგნები გაჩნდა, რომლებზედაც ამ უკანასკნელ ხანებში გაეგონა, რომ საიმისო ზნეობისა და მართებულის შინაარსისა არ არიანო. ელენე შეიპყრო თავ-შეუკავებელმა სურვილმა გართობისა და სხვა-და-სხვა სანახაობისამ. ყოველ საღამოს გაიტაცებდა ხოლმე ალფრედს თეატრში, ელაპარაკებოდა, რომ მსურს კვლავ დავიწყო სიარული საზოგადოებაშიო და მეტის-მეტის გატაცებით იმზადებდა იმ ტანისამოსს, რომელიც უნდა ჩაეცვა მალურების ბალში. ყოფა-ქცევა, მიხვრა-მოხვრა, ლაპარაკი გადუსხვაფერდა, იცინოდა უფრო ხმა-მაღლა და ყოველთვის, როცა ასეთი ახირებული მხიარულება მოუვიდოდა ხოლმე, ალფრედი ძალა-უნებურად ფიქრში წავიდოდა და განურკვეველს მოუსვენრობასა ჰგრძნობდა. ეს უცნაური ბრწყინვა ელენეს თვალებისა, ეს ახირებული მიხვრა-მოხვრა და ქცევა, ატაცებული მისი ლაპარაკი—ყოველივე აშინებდა ალფრედს. ისე იყურება, ისე იქცევა და ხმარობს ხელებსაო,—ამბობდა თავის თავად ალფრედი,—რომ კაცს უნებლიედ მოსდის ფიქრი, სულით ავად-მყოფობა ხომ არა დასჩემდა-რა ამ ქალსაო. ვაი თუ ამ ავად-მყოფობის ზედ-გავლენით ისეთი რამ უგუნური საქციელი ჩაიდინოს, რომელსაც მერე შველა აღარა ჰქონდეს-რაო. ელენე უფრო უცნაური შეიქნა იმ დღეს, როცა ბალში აპირებდა წასვლას მალურებთან. მას შემდეგ, რაც არმანთან ლაპარაკი და ჩხუბი მოუხდა, ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ საზოგადოებაში აპირობდა გასვლას. იმ დღეს დასანაყრებლად არ გავიდა სასადილო ოთახში. ალფრედი უჯდა ოთხ-კუთხიან სტოლს, ხმა-ამოუღებლივ სჭამდა პურს და თან სწუხდა, რომ ელენე ასე ახირებულად იქცევაო. ელენეს ალაგი სტოლზედ ალფრედის პირ-და-პირ იყო. მასთან მარჯვნივ იჯდა პატარა ანრი. ელენემ ბოლოს დროს თითქოს სრულიად დაივიწყა თავისი შვილი. „გამარჯვება, ჩემო კარგო,“ «მშვიდობით, ჩემო ლამაზო», აი ყოველივე ის, რაც ესმოდა შვილს თავის დედისაგან. კაცს ეგონებოდა, რომ ის უწინდელი მხურვალე დედაშვილური გრძნობა ელენესი სრულიად გაჰქრაო და სწორედ ასეც იყო. ერთად-ერთი აჩემებული და თავიდამ მოუშორებელი აზრი ისევე მოქმედობს ადამიანის გულზედ, როგორც ბჟყვრიალა რამ თვალზედა: იგი აზრი ჰიპნოსისავით აძინებს იმას, ვინც აჰყვება და გრძნობიერებას ისე ჰღუდავს, რომ ბევრს აღარაფერს აგრძნობინებსო. მამა და შვილი

ჩვენ თავის დღეში არც ისე ბედნიერნი ვართ, არც ისე უბედურნი, როგორც გვგონია ხოლმე. (ლა როშფუკო)

⁂

ეს არს საწუხარ, რომ ბოლო
თვით სიხარულსაც ჰქონიან!..
(თ. გრ. ორბელიანი)

⁂

ბუისგან ნუ გამოელი
ბოლო კარკაზის ბედებსა,
ნურც კირტკიტასგან ქორისას
შეძლების გასაბედებსა (მეფე ვახტანგ VI)

⁂

თუ თავი შენი შენ გახლავს,
ღარიბად არ იხსენები. (რუსთაველი)

⁂

შიში არ უნდა ხორციელს:
სიკვდილს სად დავემალებით?
(არჩილ მეფე)

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ბაქო, ოქტომბრის 1. ბაილოვის ნახევარ კუნძულზე, რომელიც ბაქოდგან მესამე ვერსზეა, ბაქოში მცხოვრებელ მოსლემინს ტალიევს საკმაოდ ბლომადა აქვს ნავთოსანი მიწები. ერთ ალაგას შარშან 90 საჟენი გაათხრევინა თურმე უფ. ტალიევმა და რამდენსამე კვირას ამოდიოდა ნელა-ნელა ნავთი, შემდეგ დაშრა. პატრონს ეგონა, რომ სამუდამოდ დაშრა და ნავთი აღარ არის იმ ადგილასაო. პატრონმა მიანება თავი ამ წყაროს და სხვა ალაგას, იქვე ახლო, ამოათხრევინა, საიდანაც ნავთის ამოსაღებ მაშინით ამოჰქონდათ დედამიწითგან ნავთი.

ამ სამის კვირის წინად გაუჩნდა საიდანაც ცეცხლი ამ წყაროს და, რაც გაუკეთებელი ნავთის უზარ-მაზარი გუბეები ჰქონდა, სულ გადაეწვა; მაგრამ იმ დაკარგულ ნავთის მაგიერ ერთი-ათასად მისცა ღმერთმა. სეკტემბერს დამშრალ ადგილას ამოანგრია ნავთმა დედა-მიწა ერთის დიდის ქვევრის პირისოდენა საშინელის ჰექვითა და ქუხილით და ნავთი 32 საჟენზე აასხა მაღლა. ისე იშლებოდა შადრევანი ჰაერში, რომ ქარმა ბაქოში ჩამოიტანა იმისი წინწკლები. ამ წინწკლებისაგან ადამიანი იწუწებოდა და ფანჯრების შუშები გაიპოსა. თვით ბაილოვის ნახევარ კუნწულზედ ჩინებული ხუთ გუმბათიანი საყდარი, ყაზარმები და სულ მთლად სახლები გათხუპნა შავადა. ამას გარდა ამ კუნძულზე სდგას საშინელი სუნი გაუკეთებელის *) ნავთისა. ბ-ნი ტალიევი არის ერთ სირბილსა და სიხარულში, რადგანაც ამოდენა სიმდიდრე მიადგა კარზე, რომ ვეღარა მოუფიქრებია-რა, სად წაიღოს და როგორ მოუაროს. იმ ნავთის შადრევანმა ირგვლივ სულ მთლად იმოდენა მინდორი ნავთის ტბად გადააქცია; აყენია მრავალი მუშა და ნავთის ნაკადულს ხან აქეთ უზამენ პირსა, ხან იქითა. რამდენი უზარ-მაზარი საგუბარი გააკეთეს, მაგრამ ვერ ახდიან გუბეების კეთებასა და ადგილიც აღარ არის იმისთანა, რომ დადგეს ნავთი. ტალიევი ეხვეწება ხალხსა: წაიღეთ, რა ფასადაც გინდათო, მაგრამ ჯერ აქნობამდის არავის მიაქვს.

ერთის მხრით სასიხარულოა ეს მოვლენა და მეორეს მხრით კი დასაღონებელია. დასაღონებელია იმიტომ, რომ ნავთი უბრალოდ იკარგება ზღვაში, რადგანაც ადგილი არ არის, რომ დააგუბონ და ვერც შეიძლება დაჰხურონ ისე წყაროს, რომ არ ამოვიდეს მაღლა. ძნელია კაცმა ასწეროს კალმით, რა სიძლიერითა სცემს მაღლა, მაგალითად, ზემოხსენებული შადრევანი ტაგიევისა და რა ნაირ გუგუნებს ამ დროს! თუმცა ორ პირად 7—8 გოჯიანი ხეები შეჰკრეს და სამის საჟენის სიმაღლეზე დაჰხურეს შადრევანს, რომ ნავთმა კიდევ უარესად არ გათხუპნოს სახლები და არ მოარიალოს იქაურობა, მაგრამ ტყუილია ყველაფერი: დღეს არის თუ ხვალა იმ ხეებს ჰაერში შეათამაშებს, ისე საოცრადა სცემს ქვეითგან ნავთის შადრევანი, თითქმის მკლავის სისხოთა. ისე ამოიძახის დედა-მიწითგან ნავთი, რომ იმისი გუგუნი გაბმულს სიტყვის ქუხილსა ჰგავს.

ლ. ჯ.

---

*) გაუკეთებელს ნავთს ძალიან ცუდი სუნი აქვს.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაულბარსმა ვერა გააწყო-რა ბოლგარიაში. ბოლგარიის სარეგენტო მთავრობა მაგრად სდგას თავის სიტყვაზე და სრულიად არავის არ ეპოვება. საიდამ მოიპოვა ბოლგარიის მთავრობამ ასეთი ძალა?.. რისა ან ვის იმედით იქცევა სარეგენტო მთავრობა ასე თამამად და შეუპოვრად? გაზეთი «Московскія Вѣдомости» პირ და-პირ გერმანიასა და მეტადრე ავსტრიასა სდებს ბრალსა.

> გერმანია და ავსტრია არამც თუ ხელს უწყობენ, პირ-და-პირ აქეზებენ ბოლგარიის მთავრობასა ჩვენ საწინააღმდეგოთაო. მაშ რას ჰნიშნავს, თუ არ წაქეზებასა გაზეთ „Fremdenblatt“-ის სიტყვები, იმ გაზეთისა, რომელიც ავსტრიის მინისტრის გრაფ კალნოკის საკუთარ გაზეთად ითვლება. ეს გაზეთი აი რა რჩევას აძლევს რუსეთსა: შთააგონე შენს წარმომადგენლებს ბოლგარიაში, რომ ბერლინის ხელთ-შეკრულობა კარგად გაიცნონ და ამ ხელთ-შეკრულობის თანხმად იმოქმედონო.

ამ სიტყვებიდამ სჩანს, ამბობს გაზეთი «Моск. Вѣд.,» რა გვარ რჩევას და დარიგებას აძლევდნენ ავსტრი-ვენგრიის წარმომადგენელნი სოფიაში. ან კი განა მარტო ავსტრიის წარმომადგენელნი ჩასძახოდნენ ამას სარეგენტო მთავრობასაო?

> არაო, განაგრძობს კიდევ გაზეთი, იმის მიზეზი, რომ ბოლგარიის მთავრობა ასე თამამად და შეუპოვრად იქცევა, ის კი არ არის, როგორც გაზეთი „Fremdenblatt“-ი ბძანებს, ვითომ რუსეთის წარმომადგენლებმა ბერლინის ხელ-შეკრულობა არ იცოდნენ, არა, ამის მიზეზი ის „მტკიცე მეგობრობაა სამთა სახელმწიფოთა შორის“, რომელიც ჩვენ ბევრში გვაბრკოლებს. დიახ, გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ ეს „ცრუ, ყალბი მეგობრობა“... ამ დროს ჩვენს მეგობრებს პირ-და-პირ ლაპარაკი დავუწყოთო.

⁂

იმავე „მეგობრობის“ თაობაზე გაზეთი „Современныя Извѣстія“ უფრო მკაცრად ლაპარაკობს.

> ჩვენ გვატყუებენ, სიტყვით გვარწმუნებენ, ვითომ ჩვენი ერთგულნი მეგობრები არიან და საქმით კი არამც თუ ზურგ უკან, ჩუმად, არამედ საქვეყნოდ, პირ-და-პირ ჩვენ წინააღმდეგ იქცევიან...
>
> და ამასთან გვწუხვართ კიდეცა, რომ ავსტრიის ოფიციალურ წრეებში ჩვენი წადილი კარგად ვერ შეუტყვიათო.
>
> ოც-და-ათი წელიწადია მას აქედ, რაც ერთმა ჩვენმა მხედართ-უფროსმა წარმოსთქვა, როგორც ჭეშმარიტება, რომ ჩვენი გზა სტამბოლში ვენაზეაო.

რას ჰნიშნავს ეს სიტყვები? იმასაო, პასუხს იძლევა გაზეთი,

> რომ აღმოსავლეთის საქმეში ავსტრიასთან მეგობრობა არც რუსეთისთვის და არც აღმოსავლეთის ერებისთვის არაფერს სიკეთეს არ მოასწავებს. ჩვენმა წარსულმა და მეტადრე ყირიმის ომმა ცხადად დაგვიმტკიცა ავსტრიის „ერთგული მეგობრობა“, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას არ ვიშლით, ავსტრიას მეგობრულად ხელს ვუწვდენთო.

რათა? რის გულისათვისაო? კითხულობს გაზეთი.

> რა გასამართლებელი საბუთი გვაქვს, რომ მოღალატეს გზოგავთ და ხელს ვაფარებთ? რა სამსახური მიუძღვის ავსტრიას ჩვენ წინაშე?..

⁂

ერთს ინგლისის დიპლომატსა ჰკითხეს: როგორა ჰფიქრობთ, ომი იქნება თუ არა? დიპლომატმა უპასუხა:

> ძალიან გულითაც რომ ჰსურდეთ სახელმწიფოებს, მაშინაც კი საეჭვოა, რომ ომი მოხდესო. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ავსტრიას ჯარი არა ჰყავს მზადა;..
>
> ინგლისს თავისი მინისტრები არ მოსწონს; ოსმალეთს სრულიად ნდობა არა აქვს თავისვე სახელმწიფოში; საფრანგეთს იმპერატორი არა ჰყავს და ბისმარკს კიდევ სურვილი არა აქვს ომისაო.

ადვილად დასაჯერი და შეურყეველი საბუთებია, თუ მართლ ომი მარტო ამაზეა დამოკიდებული!..

უცხოეთი

ბოლგარია. ბოლგარიის საქმეებზედ დღეში ათას ნაირი ლაპარაკი და სჯაა გაზეთებში. ზოგიერთნი ამბობენ, რომ საქმე ძალიან არ გამწვავდებაო, მეორეები კი იმ აზრისანი არიან, რომ ბოლგარიის საქმე დიდს არეულობას მოახდენს ევროპაშიო. ევროპის დიდს სახელმწიფოებსაო, ამბობს გაზეთი „Pester Lloyd“-ი, გარდაწყვეტილი აქვსთ, რომ ბერლინის ხელ-შეკრულობას არ გადავიდნენო. მადიარის ოფიციოზის სიტყვით, ეხლანდელი მდგომარეობა საქმისა მანამდე არ აიხსნება და არ გამოირკვევა, სანამ ბარონი კაულბარსი თავის აქეთ-იქით ბოლგარიის სოფლებსა და ქალაქებში მოგზაურობას არ გაათავებს და სოფიაში არ დაბრუნდებაო. ინგლისი მარტო ვერ გაჰბედავს რუსეთის წინააღმდეგობასაო, ამბობს ეს გაზეთი, და უნდა რომ ავსტრი-ვენგრია შემოიერთოს და მასთან ერთად იმოქმედოსო. ამ ამბავს ჩერჩილის ვენაში მოგზაურობაც ამტკიცებსო. ამასთან ევროპის ინტერესების დასაცველად აღმოსავლეთში საჭიროა, რომ ინგლისს და ავსტრიას თავადი ბისმარკიც შეურთდეს და თუ ჯარებს არ მიაშველებს, სიტყვით მაინც მათი ქომა-

---

მდუმარებდნენ. ამ დროს ენახოთ და სასადილო ოთახის ღია კარებში შემოისმა ხმა: „უთუოდ-კი ეცადეთ, რომ ცხრა საათზედ მზად იყოს!“ ეს ხმა ელენეს ხმა იყო. მკვეთრალს ქალს აძლევდა ბრძანებას, საბალო ტანისამოსი მოემზადეო. ელენე არ იყო ამ დროს იმათთან, ვისაც ისე გაახარებდა მისი ცქერა, მისი ღიმილი. და აი საცოდავი ალფრედი ეკითხებოდა თავის თავს: ღმერთო, რა უბედურებაა ჩემს თავს და რა გაუგებარმა და უძლეველმა მიზეზმა ჩაგვყარა ასეთს ყოფაში მეცა, ჩვენი შვილიცა და ისიცაო? ღმერთო, ღმერთო, რა დაემართა ელენესაო?

ალფრედი კვლავ დიდხანს ჰფიქრობდა ამაზედ: ჰფიქრობდა მაშინაც-კი, როცა ეტლი მიაქროლებდა იმასაც და მის ცოლსაც „du Bac-“ის ქუჩისკენ, იქ, საცა იდგნენ მალურები. ელენე ეტლის კუთხეში იჯდა, თმაზე პუდრი ჰქონდა დაყრილი და გაყვითლებულსა და გამხდარს ლოყებზედ ხალებსავით რაღაც დაეკრა. ეს პუდრიცა და ეს ტყუილი ხალებიც და აგრეთვე ოდნავ გამოსურმულთ თვალები, რაღაც ახირებულის ცეცხლის გამომცემნი, საშინლად ხდიდა ამ ქალის სილამაზესა. ელენეს ამ გვარმა ყოფამ ძალიან დააფიქრა ალფრედი, ელენეს კი ეხლა ისე ეჭირა თავი, რომ ხმის გაცემას ვერ უბედავდა. ლამაზად მოღერებული და ყარ-ყარა მისი ყელი მშვენივრად მოსჩანდა ზამთრის წამოსასხმელიდამ, რომელიც ჰფარავდა ელენეს ტანისამოსს. ელენეს იმისთანა ტანისამოსი ეცვა, რომელსაც იცვამდნენ ყვავილების გამსყიდველნი ქალნი ლუდოვიკო მე-XV დროისა. ფეხთ ეცვა ვარდის ფერი აბრეშუმის ჩულქები და ვარდის ფერივე ატლასის ფეხ-საცმელები, იუბკა ყვავილებით მორთული ჰქონდა; ამავე დროს ელენეს გული, მთელი არსება შეეპყრო საზარელს განწირულებას იმისთანა ქალისასა, რომელიც მზად არის დიდის სიხარულითა და ნეტარებით შეურაცხ-ჰყოს, შეიგინოს თავი არა რაისათვის, მარტო იმისათვის მხოლოდ, რომ შერცხვენილ იქმნას და შერცხვენილ იქმნას სამუდამოდ, სამარადისოდ! ელენე ეტლის სარკმლიდამ უცქეროდა გამწკრივებულს სახლებს, დღიურის მუშაობის შემდეგ მოსვენებულის პარიჟის სურათს. ქვემო სართულებში მოსჩანდნენ სანათებით ძალზედ გაჩაღებული მაღაზიები. ყავახანების კარებები წამ-და-უწუმ იღებოდა შემსვლელ-გამსვლელთაგან. ქარი აციმციმებდა გაზის სანათს, რომლის ქვეშაც სათეატრო აფიშები იყო გაკრული. ბულვარ-ბულვარ და ტიულერის ქუჩაზე ხალხი ბლომად მიდიოდ-მოდიოდა. რა უნდოდა და რას ეძებდა ეს ხალხი? სიამოვნებას, მარტო ოდენ სიამოვნებას. მე კი, მე ვეძებდი იდეალს და ჩემი ნაპოვნი იდეალი ისეთი ცრუ და ტყუილი გამოდგაო, ჰფიქრობდა ელენე. დროა, ახლა-კი მეც ისე ვიცხოვრო, როგორც სხვანი ცხოვრობენო! ქალის გართობა და სიამოვნება კეკლუცობა და არშიყობაა. მეც მოვყვები და ვიკეკლუცებ, მეც გავიჩენ და მეყოლებიან საყვარლები. დიაღ, სწორედ რომ საყვარლებიო. ეს სიტყვა რამდენჯერმე გაიმეორა ელენემ თავის თავად და გაიმეორა თან ბოროტისა და თან მხიარულის ნიშნის-მოგებითა. ელენეს სწორედ ამ დროს გამოეცხადა უცებ სახე იმ კაცისა, რომელიც ისე უყვარდა. გულმა აჩქარებით დაუწყო ძგერა. დიაღ, აი სწორედ ამ სახესა და ჩემ შორის, ამ სახსოვარსა და ჩემ გულ შორის, მე ჩავაყენებ სხვა სახის კაცებსა და სხვა სახსოვარსაო! ღმერთო, რად გახადა ისე სამასხაროდ იმ კაცმა ელენე. ახლა ზოგჯერ საშინლად შეეჯავრებოდა ხოლმე ელენეს არმანი და ძრიელის ძულების მეტს აღარასა ჰგრძნობდა თავის საყვარლის მიმართ. განზრახ რაღაცას უგონებდა, რომ უფრო საბუთი ჰქონოდა სძულებოდა არმანი, ცილსა სწამებდა უმიზეზოდ, ტყუილ-უბრალოდ. განა ყოველი მისი ქცევა ყოვლად საძაგელი და ყოველ-დღიური ანგარიშიანობა არ იყო იმის მხრითაო, ამბობდა ახლა ელენეც. როცა მეხვეწებოდა და მევედრებოდა, ჩემი იყავიო, და მიზეზად ის მოჰქონდა, რომ თუ არ მაგ გზით, ისე ვერ დაიჯერებ შენს სიყვარულსაო,—მაშინ არმანს მხოლოდ ის უნდოდა, რომ არ დამარცხებულიყო თავად იქ, საცა სხვანი გამარჯვებულები იყვნენო. და განა ის კი მართალია, რომ ვითომ არმანი იეჭვიანობდა ჩემ გამო? ეს იეჭვიანობა მხოლოდ საგანი თუ იყო ჩვენის განშორებისათვისაო. ის ვარადიო? რა დიდხანს იმარხავდა გულში ამ კაცის სახელს, რათა მერე უკანასკნელს წუთს პირში მიეხალა იმისი სახელი თავის საყვარლისთვის და ღონე-კი აღარ მიეცა, რომ თავი გაემართლებინაო! მე უნდა ვცდილიყავ და დამეფარა ჩემი თავი, უნდა მეპოვნა რომელიმე ძველი წერილები... წარმედგინა გასამართლებელი საბუთები... მაგრამ რა საჭირო იყო? განა დაიჯერებდა ჩემსას რასმე თუნდ ერთის წუთითაცკიო? და აი კვალად და კვალად ასე აწამებდა ელენე თავის თავს ამ უსამართლობის მოწამლულის მახვილითა და არმანის გამო უფრო მეტად სძაგდა ყველა მამა-კაცნი, ჰშურდა ბედი იმ დედა-კაცებისა, რომელნიც მასხარად იგდებენ მამა-კაცებს და პირველად თვით ჰღალატობდნენ. ღმერთო, რა კარგი იქნებოდა, რომ მეც ერთი იმათგანი ვყოფილიყავიო, არმანთან შეყრამდე რამდენიმე საარშიყო საქმე მქონოდა დაჭერილიო და ბოლოს მეთქვა მისთვის ყოველივე ესა, დამემდაბლებინა ისიცა, ჩემი თავიცა, ლაფში ამომევლო ყოველივე ჩემი და ჩემ გარეშეცა, გამებილწებინა და გამემწვირებინა ჩემი სულიცა და ხორციცა, გამემწვირებინა ისე, რომ ალარაითარს წყალს აღარ შესძლებოდა ამ მწვირის ჩამორეცხაო! ასეთს ცეცხლში და ჯოჯოხეთში იყო ელენე ეტლში რომ იჯდა და ერთს იმ გვარს სულის კვეთებასა და საშინელს ძრწოლაში იყო, როგორიც ბევრჯერ გამოიარა ღამეცა და დღეცა,—ღამეცა და დღეცა მეთქი ვამბობ იმიტომ, რომ ამ სამის კვირის განმავლობაში სულ ორი საათიც კი არ ეძინა ხოლმე მთელს დღესა და ღამეში. ასე მოუვლიდა ხოლმე ზღვა-მწუხარება საცოდავს ქალს და ეს ზღვა კი არა კლებულობდა, უფრო-და-უფრო მატულობდა, ზედ ესვოდა ონავრობითა. აზრები ისეთის სისწრაფით ტრიალებდნენ ამ დროს ელენეს თავში, რომ საცოდავი ქალი სრულიად აღარა ჰგრძნობდა, რა ამბავია იმის გარშემო და მხოლოდ მაშინ გამოერკვეოდა ხოლმე, მაშინ გამოვიდოდა ხოლმე ამ გაბრუებიდამ, როცა რომელისამე წვრილმანისა და საყოველ-დღეო ცხოვრების გარემოების გამო იძულებული იყო ემოქმედნა. ეხლაც სწორედ ასე მოუვიდა. როცა ეტლი გაჩერდა, ალფრედმა ხელი შეახო და უთხრა: «მივედითო». ელენემ გაკვირვებით მიიხედ-მოიხედა მაშინ აქეთ-იქითა და მიხვდა, რომ მართლა მალურების კარ-წინა ვართო.

გრ. ყ—ძე

(შემდეგი იქნება)

გი იყოსო... ჯარით ჩარევა გერმანიისა რუსეთის წინააღმდეგ ომში ინგლისისათვის სასარგებლო არ არის, რადგან მაშინ საფრანგეთიც თავის ჯარითა და ფლოტით გამოვა მოედანზედაო. გერმანია სამხედრო შემწეობას ვერ გაუწევს ინგლისსა და ავსტრიას იმ დრომდე, ვიდრე საფრანგეთი თვით გერმანიას არ დაუწყებს მუქარასაო. თუ გერმანია არ ჩაერევა ინგლის-ავსტრიის კავშირში, მაშინ ეს სახელმწიფოები იტალიასა და ოსმალეთს მიიმხრობენ და ამ გვარად ხელს შეუშლიან რუსეთისა და საფრანგეთის შეკავშირებასაო.

— „Новости“-ს დეპეშით ატყობინებენ ვენიდამ: ცანკოვის მომხრეებს განუზრახავთ, რომ ბოლგარიის სარეგენტო მთავრობაზედ დიდ საერო კრებაში საჩივარი შეიტანონ, რომ ეს მთავრობა კანონიერად არა მოქმედებდა არჩევნების დროსაო.

ბრიტანიის კაბინეთს მიულოცნია ბოლგარიის მთავრობისთვის ის გარემოება, რომ დიდის საერო კრების არჩევანი მთავრობის სასარგებლოდ გარდასწყდაო.

ხმა დადის, რომ დიდი საერო კრება მხოლოდ ორს რეგენტს ენდობა ბოლგარიისასაო: სტამბულოვსა და მუტკუროვსა და კარაველოვის მაგიერად კი როდოსლავოვს დანიშნავსო.

— ვენის გაზ. „Presse“-ს სწერენ ცეტინიედამ, რომ აქაურს სამხედრო წრეებში არ უწონებენ ბოლგარიის სარეგენტო მთავრობას რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებას და დარწმუნებულნი არიან, რომ რუსეთი თუ ახლა არა, მომავალ გაზაფხულს მაინც იძულებული იქნება, რომ ჯარი ჩააყენოს და ისე ჩამოაგდოს ბოლგარიაში წესიერებაო. ბოლგარიის სარეგენტო მთავრობა სლავიანებსა მტრობსო და ცბიერი ალბიონიც ამ გარემოებითა სარგებლობს, რომ სლავიანების წინააღმდეგ იმოქმედოსო. ბოლგარები რუსეთის უმცროსი ძმები არიან, გზა დაჰბნევიათ და რუსეთის მოვალეობა მათი სწორე გზაზედ დაყენებაო. როცა რუსეთი ყოყმანს თავს დაანებებს და პირ-და-პირ გამოვა ასპარეზზედ, მაშინ ჩერნოგორიაც უნდა მოემზადოსო, რადგან უეჭველად მოუხდება საქმეში ჩარევაო. ვინ უფრო დაზიანდება ბოლგარიის საქმის გამო, ჯერ არავინ იცისო...

* * *

დეპეშა

11 ოქტომბერი

ჟურჟევო. ძნელი დასაჯერია, რომ პრინცი ბატენბერგი ხელ-მეორედ იქმნას არჩეული ბოლგარიის მთავრად; ამბობენ, რომ ავსტრია არ იყაბულებს კიდეცა, რომ პრინცმა ავსტრიის მიწა-წყალზე გამოიაროს დაბრუნების დროსაო. დიდი საერო კრება მხოლოდ სარეგენტოს თუ დაამტკიცებს და გამოსცვლის ერთ-ერთს მის წევრსა: ან როდოსლავოვი, ან ნაჩევიჩი დაიჭერს კარაველოვის ადგილსაო. კრება, ვგონებთ, 19 ოქტომბერს შეუდგება თავის საქმესაო.

12 ოქტომბერს

პეტერბურგი. „Русскій Инвалидъ“-მა დაბეჭდა წერილი „დიდების“ ძეგლის კურთხევის გამო პეტერბურგში და ამბობს, რომ ეს ძეგლი აგებულ იქმნა წარსულის ომის სახსოვრადაო, ამ ომში დიდი მხნეობა და ქველობა გამოიჩინა ჯარმაო, ბევრი მხედარი და ჯარის კაცი დაიხოცა და მოიკლა მაშინ მხედრობასაო. ამ გარემოებამ დიდად შეაწუხა ღვთივ განსვენებული ხელმწიფეო. დასასრულ გაზეთი ამბობს: „ღმერთმა ინებოს, რომ ეს ძეგლი სამუდამო სახსოვრად იყოს მხედრობისათვის არა მარტო იმისა, რა ღვაწლი გადიხადა და რა ქველობა გამოიჩინა რუსეთმა წარსულს ომში, არამედ იმისაცა, რა მრიელ უყვარდა მხედრობა ღვთივ განსვენებულს ხელმწიფესაო; ღმერთმა ინებოს, ეს ძეგლი მუდამ მოაგონებდეს რუსეთის მხედარს, რომ მისი ხამდთო გვარის იმავე ერთგულად და თავ-განწირულებით ემსახუროს გვირგვინოსანს მეფეს, როგორც ემსახურებოდნენ მის უავგუსტოესს მშობელსაო.

„Journal des S-t. Pètersbourg“-ს მოჰყავს ცნობა «რეიტერის სააგენტოსი» იმას თაობაზედ, რომ დიდნი სახელმწიფონი დასთანხმდნენ რუსეთს მიანდონ მეთაურობა ბოლგარიის საქმეთა მოწყობისა. ამასთანავე ამბობს, რომ რუსეთს განსაკუთრებული უფლება აქვს მისგან განთავისუფლებულის ქვეყნის შესახებაო. ბოლოს დასძენს: დღეს ნაკურთხი ძეგლი «დიდებისა» ერთხელ კიდევ მოგვაგონებს ჩვენის ჯარის ღვაწლსა და მხნეობასაო, მოგვაგონებს, რა გმირობა და ქველობა გამოიჩინა მან, რა განუსაზღვრელი ერთგულობა დაუმტკიცა სამეფო ტახტსა და სამშობლოსაო. ამ ჯარის ღვაწლის გამო ისტორიაში ჩაწერილს ამბებს ვერაფერი ვერ ამოჰშლისო.

13 ოქტომბერს

პეტერბურგი. გუშინ აკურთხეს ძეგლი „დიდებისა“, რომელიც უკანასკნელის ოსმალეთის ომის დროს გამარჯვების სახსოვრად არის დადგმული. ძეგლი აღმართულია სამების ტაძართან, იზმაილოვის პოლკში, ძეგლი ექვს სართულიან თუჯის სვეტს წარმოადგენს, რომელზედაც ჩამოკიდულია 104 ზარბაზანი ოსმალეთისა. ვიდრე დღეობა დაიწყებოდა, სამების ტაძართან რიგზე გაეწყვნენ: გვარდიის პოლკების რამდენიმე ნაწილი, სამხედრო სასწავლებლის იუნკრები და სამი შეერთებული ბატალიონი, შედგენილი იმ ჯარის-კაცთაგან, რომელთაც წარსულს ომში მონაწილეობა მიუღიათ და წმ. გიორგის ჯვარი დაუმსახურნიათ. ესენი ქვეითა ჯარების პოლკებიდამ იყვნენ მოწვეულნი. მათი იმპერატორებით უდიდებულესობათ ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერატრიცამ კეთილ ინებეს და მობრძანდნენ დღესასწაულზე შუადღის წინად. ხელმწიფემ კეთილ ინება ჯარების დახედვა, მიესალმა და ჯარებიც სიხარულით „ურასა“ იძახოდნენ უმაღლეს სალამის პასუხად. სადილის შემდეგ სასახლის სამღვდელოებამ პარაკლისი გადიხადა პარაკლისის შემდეგ წარმოსთქვეს საუკუნო სახსენებელი იმპერატორის ალექსანდრე II, სერგეი მაქსიმელიანის ძისა და ომში დახოცილთა ჯარის-კაცთათვის. როდესაც დღეობა გათავდა, ჯარებმა «საცერემონიო მარშით» გაიარეს და ჯარებს თავში ედგნენ გენარლები: გურკო, რადეცკი, შუვალოვი, როოპი, პეტრუშევსკი და თავ. ჭავჭავაძე. დასასრულ ქალაქი გაუმასპინძლდა ჯარებსა, საღამოთი სასახლეში სადღესასწაულო სადილი იყო გამართული. დღეს «ალექსანდროვსკის თეატრში» დაბალის ხარისხის ჯარის-კაცთათვის, რომელთაც წმ. გიორგის ჯვრები აქვთ, უფასოდ არის წარმოდგენა გამართული.

პეტერბურგი. გუშინ, როდესაც ქალაქს წვეულობა ჰქონდა გამართული წმ. გიორგის ჯვაროსნებისთვის, ხელმწიფე იმპერატორმა ჩამოუარა ჯარის კაცთა, აიღო ხელში არაყით სავსე ფიალა და ბრძანა: „თქვენი სადღეგრძელო იყოს ვაჟ-კაცნო“! ჯარმა პასუხად ხმა მაღლად დაიძახა „ურა“. დიდმა მთავარმა ნიკოლოოზ ნიკოლოზის-ძემ მათ უმაღლესობის სადღეგრძელო მიირთვა. სმენის დამაყრუებელი „ურა“ მოისმა და შეუერთდა საერო საგალობლის ხმასა. ყაზარმების ეზოდამ, სადაც წვეულება იყო გამართული, მათი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი წაბრძანდნენ მდიდრად მორთულ არტილერიის მანეჟში, სადაც აფიცრებისთვის გამართული იყო საუზმე. აქ ხელმწიფემ აფიცრების სადღეგრძელო მიირთო და ბძანა: „ბატონებო, თქვენი სადღეგრძელო იყოს! მსურს თქვენთვის გამარჯვება და სრული სიმრთელე სამერმისოდ! მადლობელი ვარ იმ ღვაწლისათვის, რომელიც თქვენ მიგიძღვით წარსულს ომში! გეუბნებით მე ამას იმის სახელითა, ვინც აღარ არის ჩვენს შორის! კვლავ გეუბნებით, ბატონებო: «მადლობელი ვარ!» დიდმა მთავარმა ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძემ წარმოსთქვა სადღეგრძელო ხელმწიფესი, ამ სადღეგრძელოს პასუხად იგრიალა „ურამ“ და საერო საგალობელმა.

ჟურჟევო. სტამბულოვი ავად გახდა. ბოლგარიის რეგენტები და მინისტრები გუშინ ტირნოვოში წავიდნენ. მას შემდეგ. რაც გენერალი კაულბარსი ამ ბოლოს დროს დაბრუნდა სოფიაში, ბოლგარიის მთავრობას და გენერალ კაულბარსს ერთმანეთი აღარ უნახავთ. მართლდება ის ხმა, რომ არც ერთი სახელმწიფოს წარმომადგენელი ტირნოვოში არ წავა.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უჱო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

ოქტომბერი 31 დღით არის.

14 დღე სამშაბათი. მოწ. ნაზარისი და გერვასი. კათოლ. წმ. ალმსარ. პაპა კალისტასი. სომეხ. მოციქ. ანანია, მატათია, ბარნაბა და სხვათა. მუსულ. 29 რიცხვი თთვისა მაგარრამისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—4. ტფილისში მზე ამოდის 6—26, ჩადის 5—2; მთვარე ამოდის 5—13, ჩადის 4—37.

15 დღე ოთხშაბათი. ღირს. ევთიმისა, საბინ ებისკ. კათოლ. წმ. ქალწ. ტერეზიასი. სომეხ. მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—43—58. ტფილისში მზე ამოდის 6—27, ჩადის 5—1; მთვარე ამოდის 6—26, ჩადის 5—29. შობა მთვარ. 3 საათსა და 27 წუთ. საღ.

16 დღე ხუთშაბათი. წმ. მოწ. ლონგინოს ასისთავისა. კათოლ. წმ. დედოფ. ქვრ.- გედვიგისა; სომეხ. წმ. დიონისე არეოპაგ., წმ. მოციქ. ტიმოთე, ტიცესი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—43—53. ტფილისში მზე ამოდის 6—28, ჩადის 5—0; მთვარე ამოდის 7—34, ჩადის 5—51.

17 დღე პარასკევი. წინ.-მეტყ. ოსიასი. კათოლ. დღის ღვთის-მსახურება. სომეხ. მარხვაა. მუსულ. დაბადება იმამ ბაგირისა (შიიტებს). დაარსეს უწმინდაესის სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორა, 1815 წ ჭეშმარიტი შუა-დღე 11—43—50. ტფილისში მზე ამოდის 6—29, ჩადის 4—59; მთვარე ამოდის 8—39, ჩადის 6—3.

18 დღე შაბათი. წმ. მოციქ.-მახარობ. ლუკასი. წმ. მოწ. მარინესი. კათოლ. წმ. მოციქ.-მახარობ. ლუკასი. სომეხ. წმ. მოციქ. მახარობელთა: მათე, მარკოს, ლუკა და იოანე. ჭეშმარიტი შუა დღე 11—43—46. ტფილისში მზე ამოდის 6—30, ჩადის 5—57; მთვარე ამოდის 9—44, ჩადის 7-23.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3
› › 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2—	3 ›
› › 3 ›	2½ ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	4½ ›
მე-2 ხარისხისა . .	3½ ›
მე-3 — . . .	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ › 2	6 ›
სუკი	13 ›
ცხვრის ხორცი . . .	6 ›

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.	სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი .	—	—	8	35	ბათუმი . .	—	—	8	35
ავჭალა. . .	8	52	8	55	ქობულეთი .	9	25	9	28
მცხეთა. . .	9	13	9	21	ნატანები . .	9	54	9	57
ქსანი . . .	9	39	9	41	სუფსა . .	10	21	10	27
კასპი. . . .	10	6	10	9	ლანჩხუთი .	11	—	11	3
გრაკალი . .	10	29	10	31	ნიგოითი . .	11	14	11	16
გორი . . .	10	54	11	4	საჯავახო. .	11	39	11	41
ქარელი . .	11	33	11	36	**სამტრედია**	11	56	12	15
გომი . . .	12	—	12	4	კოპიტნარი .	12	35	12	37
ხაშური . .	12	21	12	41	რიონი . . .	1	7	1	20
სურამი . .	12	53	12	56	აჯამეთი . .	1	32	1	34
ფონი . . .	1	24	1	27	**ყვირილა** .	2	11	2	26
ბეჟათუბანი.	2	14	2	34	ძირულა . .	3	4	3	6
მარელისი .	3	3	3	5	ბელაგორი .	3	33	3	36
ბელაგორი .	3	32	3	35	მარელისი .	4	3	4	5
ძირულა . .	4	2	4	5	**ბეჟათუბანი**	4	34	4	54
ყვირილა. .	4	43	4	58	ფონი . . .	5	41	5	44
აჯამეთი . .	5	35	5	37		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი. . .	6	12	6	15
რიონი. . .	5	49	6	4	**ხაშური** . .	6	27	6	42
კოპიტნარი .	6	34	6	36	გომი . .	6	59	7	3
სამტრედია .	6	56	7	16	ქარელი . .	7	27	7	30
საჯავახო. .	7	31	7	33	**გორი** . . .	7	59	8	9
ნიგოითი. .	7	56	7	59	გრაკალი . .	8	32	8	34
ლანჩხუთი .	8	10	8	14	კასპი. . . .	8	54	8	57
სუფსა . . .	8	47	8	55	ქსანი . .	9	22	9	24
ნატანები . .	9	19	9	22	მცხეთა. . .	9	42	9	48
ქობულეთი .	9	48	9	51	ავჭალა. . .	10	6	10	8
ბათუმი . .	10	41	—	—	**ტფილისი** .	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დლისით					ღამით			
ტფილისი .	—	—	3	15	სურამი. . .	—	—	2	35
ავჭალა . .	3	38	3	41	**ხაშური** . .	2	47	3	2
მცხეთა . .	4	6	4	16	გომი . . .	3	26	3	31
ქსანი . . .	4	42	4	45	ქარელი . .	4	5	4	12
კასპი . . .	5	20	5	25	**გორი** . .	4	53	5	8
გრაკალი . .	5	53	5	56	გრაკალი . .	5	40	5	45
	საღამოთი					დილით			
გორი . . .	6	28	6	43	კასპი . . .	6	13	6	19
ქარელი . .	7	24	7	29	ქსანი . . .	6	54	6	57
გომი . . .	8	3	8	7	მცხეთა . .	7	23	7	33
ხაშური . .	8	31	8	46	ავჭალა . .	7	58	8	1
სურამი . .	8	58	—	—	**ტფილისი** .	8	24	—	—

Дозволено цензурою. Тифлисъ 13 октября, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე